



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

# „დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ შეფასების ანგარიში

მარტი 2013

ეს გამოცემა მომზადებულია IFES-ის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთვის



# „დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ შეფასების ანგარიში

გრიერ ბუროუსი

2013 წლის მარტი



International Foundation for Electoral Systems



Copyright © 2013 საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი. ყველა უფლება დაცულია.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია წინამდებარე ნამუშევრის რომელიმე მონაკვეთის ხელახლა გამოცემა რაიმე საშუალებითა და ფორმით, ელექტრონული ან მექანიკური გზით, მათ შორის ფოტო-ასლის გადაღების, ჩანაწერის გაკეთების ან ინფორმაციის შენახვისა და მოპოვების ნებისმიერი საშუალებით.

მასალის გამოყენების ნებართვის შესახებ თხოვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- იმ მასალის აღწერა, რომლის გამოყენების ნებართვასაც ითხოვთ
- რისთვის და როგორ აპირებთ ამ მასალის გამოყენებას
- თქვენი სახელი, თანამდებობა, კომპანიისა თუ ორგანიზაციის დასახელება, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, ელფოსტის მისამართი და საფოსტო მისამართი

თხოვნა გააგზავნეთ შემდეგ მისამართზე:

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი  
1850 K Street, NW, მე-5 სართული  
ქ. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი 20006  
ელ-ფოსტის მისამართი: editor@ifes.org  
ფაქსი: 202.350.6701

*წინამდებარე ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, „აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID) მეშვეობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი და ის, შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ისა და აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.*

# სარჩევი

შესავალი .....	2
არსებული მდგომარეობის მიმოხილვა.....	3
კვლევის მეთოდოლოგია .....	5
კურსდამთავრებულთა მოსაზრებები .....	6
2012 წლის I სემესტრიდან 2013 წლის იანვრამდე პერიოდში მიღწეული შედეგები.....	10
ცოდნის გამოყენება.....	15
სტუდენტების მიერ გამოვლენილი უნარჩვევები.....	19
სამოქალაქო თვისებების განვითარება.....	22
დასკვნები და რეკომენდაციები.....	30

## შესავალი

*„ყოველთვის იმას ველოდებით, როდის მოვა ვინმე სხვა და მოგვიგვარებს პრობლემას. ახლა უკვე ვხვდებით, რომ თუ ინიციატივას თავად გამოვიჩენთ, სხვისი ლოდინი აღარ დაგვჭირდება.“*

*„საქართველოში, ჩვენი ისტორიიდან გამომდინარე, ყოველთვის იმისი შეგრძნება გვაქვს, რომ მთავრობას ჩვენ ვემსახურებით. ახლა უკვე ვაცნობიერებ ჩემს უფლებებს და იმას, რისი გაკეთებაც შემიძლია“.*

*„მთავრობა მიუწვდომელი და განყენებული იყო. ახლა უკვე ვხვდები, რომ მთავრობა ხალხს უნდა ემსახურებოდეს“.*

„დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ სასწავლო კურსის ქართველი სტუდენტები

დემოკრატიულ მოქალაქეებად არ იბადებიან, ასეთებად ყალიბდებიან. ძირითადი სოციალური ინსტიტუტები, როგორებიცაა ოჯახი, ეკლესია და სკოლა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალგაზრდების ცოდნის, ქცევისა და განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. სწორედ მათი მეშვეობით სწავლობენ ახალგაზრდები საზოგადოებაში თავიანთი როლის შესახებ, იმას, თუ რა მოლოდინი არსებობს მათ მიმართ. იმ ქვეყნებში, სადაც მმართველობის ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლის პროცესი მიმდინარეობს, კულტურული ჩამორჩენა ხშირად თანმდევი პროცესია. სოციოლოგები განმარტავენ, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც სოციალური სისტემები სოციალურ ცვლილებებს ვერ უწყობს ფეხს. შეძლებს კი ერთი სასწავლო კურსი ახალგაზრდებს დაეხმაროს, სწორად აღიქვან საკუთარი მოქალაქეობრივი როლი და შეიძინონ საჭირო ცოდნა, უნარჩვევები და განწყობა დამოკიდებულებები, რათა დემოკრატიის კომპეტენტურ აქტორებად იქცნენ?

წინამდებარე კვლევა სწორედ ამ კითხვაზე ეცდება პასუხის გაცემას. ქართველი სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია კი ადასტურებს, რომ ერთმა სასწავლო კურსმა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ახალგაზრდების სოციალიზაციაში. ზემოთ მოყვანილი ციტატები მიუთითებს, რომ ეს ახალგაზრდები დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის ახალ შესაძლებლობებს ხედავენ და მოწადინებულნი არიან, ადგილობრივ დონეზე აქტიური როლი შეასრულონ.

## არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

თბილისში უმაღლესი სასწავლებლების დონეზე არსებული სამოქალაქო განათლების მდგომარეობის შესაფასებლად საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა 2010 წელს ჩაატარა კვლევა USAID-ის პროექტის ფარგლებში „ნდობის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი“ (ITEP). კვლევამ აჩვენა, რომ სამოქალაქო განათლება სასწავლო პროგრამების უმეტესობაში გათვალისწინებული არ იყო. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან ერთად წამოიწყო პროგრამა, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსის შექმნას ისახავდა მიზნად. შედეგად შემუშავებული სასწავლო კურსი სახელწოდებით „დემოკრატია და მოქალაქეობა“ 2011 წლის სექტემბერში საცდელად ოთხი უმაღლესი სასწავლებლის პროგრამაში იქნა შეტანილი, რომელთაც 2012 წლის იანვარში კიდევ ორი უმაღლესი სასწავლებელი დაემატა. წარმატებულ შედეგებზე დაყრდნობით, ახალი აკადემიური წლიდან სასწავლო კურსი დამატებით შეტანილი იქნა რეგიონებში არსებული ექვსი პარტნიორი და თბილისში არსებული ორი ახალი პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლის პროგრამებში.

2012 წლის სექტემბრიდან „დემოკრატია და მოქალაქეობა“ უკვე ცხრა უმაღლეს სასწავლებელში ისწავლებოდა 16 პროფესორის მიერ, ხოლო კურსის მსმენელთა რაოდენობა 776 იყო.

ცხრილში მოცემულია იმ პარტნიორი უნივერსიტეტების ჩამონათვალი, სადაც 2012 წელს „დემოკრატია და მოქალაქეობა“ ისწავლებოდა და კურსის მსმენელთა რაოდენობა.

**ცხრილი 1 - მონაწილე უმაღლესი სასწავლებლები და სტუდენტები, 2012 წლის სექტემბერი**

უნივერსიტეტი	პროფესორთა რაოდენობა	მსმენელთა რაოდენობა	მდედრ.	მამრ.
<b>უმაღლესი სასწავლებლები თბილისში</b>				
საქართველოს უნივერსიტეტი	3	183	140	43
კავკასიის უნივერსიტეტი	3	83	49	34
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	2	96	62	34
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2	91	70	21
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1	11	4	7
<b>უმაღლესი სასწავლებლები რეგიონებში</b>				

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1	227	143	84
შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	1	36	23	13
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	1	5	4	1
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	2	44	30	14

სასწავლო კურსის შემუშავებას საფუძვლად დაედო მიდგომა, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას აერთიანებს: სტუდენტების ცოდნის, უნარჩვევებისა და განწყობა-დამოკიდებულებების განვითარება. მსმენელთათვის საფუძვლიანი ცოდნის უზრუნველსაყოფად კურსისა და სახელმძღვანელოს სტრუქტურა შემდეგ ოთხ თემას აერთიანებს:

- ნაწილი 1 – საჯარო ადმინისტრაციის სისტემები
- ნაწილი 2 – ადამიანის უფლებები
- ნაწილი 3 – სამოქალაქო საზოგადოება
- ნაწილი 4 – დემოკრატია და სამოქალაქო ჩართულობა

აქტიურ სამოქალაქო ჩართულობასთან დაკავშირებული უნარჩვევების განვითარების პროცესი ყველაზე ეფექტურად მაშინ მიმდინარეობს, როდესაც სტუდენტებს საშუალება აქვთ, მიღებული ცოდნა გამოიყენონ როგორც საკლასო ოთახში, ისე მის გარეთ. ეფექტური სასწავლო პროცესის სტიმულირების მიზნით, კურსის პროფესორებმა გაიარეს ტრენინგი სწავლების ინტერაქციულ მეთოდებში. კურსის დასკვნითი კომპონენტია სტუდენტთა სამოქმედო პროექტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს უნდა მოეხდინათ ქართულ საზოგადოებაში არსებული ისეთი პრობლემური საკითხების იდენტიფიკაცია, რომლებიც მათი ზრუნვის საგანსაც წარმოადგენს, ჩაეტარებინათ შესაბამისი კვლევა და მიესადაგებინათ ის სასწავლო კურსის შინაარსთან. საბოლოოდ, სტუდენტებს უნდა შეემუშავებინათ სამოქმედო გეგმა არჩეული პრობლემის გადასაჭრელად. ამ სავარჯიშოს მიზანია, სტუდენტებს დაეხმაროს აქტიური მოქალაქეობისათვის საჭირო ცოდნისა და უნარჩვევების განვითარებაში.

როგორც სასწავლო კურსის დაწყებამდე, ისე სწავლების პროცესში საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი კურსის მომზადებაში ეხმარებოდა პროფესორებს. იმ პროფესორთა უმრავლესობამ, რომლებიც „დემოკრატია და მოქალაქეობა“ 2012 წლის სექტემბრიდან 2013 წლის იანვრამდე პერიოდში

ასწავლიდნენ (16 პროფესორიდან 13-მა) ზაფხულში ხუთდღიანი ტრენინგი გაიარა. 2012 წლის ივნისში პროფესორებს დაურიგდათ „მასწავლებლის სახელმძღვანელო“, რომელშიც მოცემული იყო სტუდენტთა სახელმძღვანელოს ოთხი ნაწილის შესაბამისი კითხვები და ყოველკვირეული ლექციის დეტალური გეგმა. სასწავლო კურსის ფარგლებში ჩატარებული ყველა ლექცია ეყრდნობოდა სასწავლო კურსის მასალებს და ემსახურებოდა საქართველოში ეფექტური დემოკრატიული მოქალაქეობის ჩამოყალიბების მიზნებს. პროფესორებს ლექციების ჩატარება ხსენებული სახელმძღვანელოების მიხედვით მოეთხოვებოდათ; თუმცა, სწავლების პროცესში დამატებითი სტრატეგიებისა და რესურსების გამოყენება არ იყო შეზღუდული.

სასწავლო კურსის პროფესორთა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ მათი უმეტესობა სახელმძღვანელოს მიხედვით მოქმედებდა, თუმცა სწავლების პროცესში ასევე იყენებდნენ მათ მიერ დამოუკიდებლად შერჩეულ აქტივობებს, საკითხავ მასალებსა და ფილმებს. კურსის სწავლების პროცესი ძირითადად ყველგან ერთნაირად მიმდინარეობდა; თუმცა, მნიშვნელოვან გამონაკლისს წარმოადგენდა სტუდენტთა სამოქმედო პროექტი. რამდენიმე უნივერსიტეტმა მიიჩნია, რომ სასწავლო კურსის ეს კომპონენტი კვლევის პროექტს წარმოადგენდა და მათ სტუდენტებისათვის მოქმედების ბევრი საშუალება არ მიუციათ. სწორედ ამით განსხვავდებოდა სხვადასხვა სტუდენტების მიერ კურსის ფარგლებში მიღებული გამოცდილება. სასწავლო კურსი უფრო ეფექტურად შეფასდა იმ შემთხვევებში, სადაც სტუდენტებს თავიანთ თემებში იდენტიფიცირებული პრობლემის გადასაჭრელად კონკრეტული ქმედებების განხორციელების საშუალება მიეცათ.

## კვლევის მეთოდოლოგია

„დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ შესახებ კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენა მოახდინა კურსმა სტუდენტთა იმ უნარჩვევების, ცოდნისა და განწყობა-დამოკიდებულებების განვითარებაზე, რომელიც დემოკრატიაში ეფექტურ სამოქალაქო ჩართულობას უკავშირდება. შეფასდა სტუდენტთა ცოდნა ოთხი სხვადასხვა მიმართულებით: სახელმწიფო მართვის სისტემა, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოება და მოქალაქეთა მონაწილეობა. უნარჩვევები და მიდრეკილებები განისაზღვრა შემდეგი რესურსების გამოყენებით: „სამოქალაქო განათლების ეროვნული სტანდარტები“ (1994), „საგანმანათლებლო პროგრესის ეროვნული შეფასების სისტემა“, სამოქალაქო განათლების კუთხით და სოციალურ მეცნიერებათა ეროვნული საბჭოს მიერ შემუშავებული თემები. წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა იმ სტუდენტთა გამოცდილებას, რომლებიც 2012 წლის სექტემბრიდან 2013 წლის იანვრამდე პერიოდში გადიოდნენ „დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ კურსს; თუმცა, ფოკუსჯგუფის შეხვედრები აგრეთვე ჩატარდა კურსდამთავრებულებთან იმის დასადგენად, თუ რა გავლენა იქონია სასწავლო კურსმა სწავლების დასრულებიდან ერთი ან ორი სემესტრის შემდეგ. ამ ორი სხვადასხვა ფოკუსჯგუფის შედეგები ანგარიშში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.



განსხვავებული შეხედულებების სრულფასოვნად გამოსაკვლევად და ანგარიშში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების გასამყარებლად ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა მეთოდები იქნა გამოყენებული. მიღებული ცოდნა შეფასდა სტუდენტების ცოდნის შემოწმებით სასწავლო კურსის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ, აგრეთვე სტუდენტთა გამოკითხვით ფოკუსჯგუფების დროს, ლექციებსა და სამოქმედო პროექტების პრეზენტაციებზე დაკვირვებით. უნარჩვევებისა და განწყობა-დამოკიდებულებების განვითარების შესახებ დასკვნები ეყრდნობა სტუდენტთა ფოკუსჯგუფებს, ლექციების დაკვირვებასა და სტუდენტთა სამოქმედო პროექტების შეფასებებს. ამასთან, სტუდენტების ცოდნის შესამოწმებლად როგორც სასწავლო კურსის დაწყებამდე, ისე დამთავრების შემდეგ გამოყენებული იქნა კითხვარი, რომელიც მათ დამოკიდებულებასა და ქცევას განსაზღვრავდა. იმ ცვლილებების შესაფასებლად, რომლებზედაც თავად სტუდენტები მიუთითებდნენ, განხორციელდა მიღებული შედეგებიდან შემთხვევით შერჩეული ნიმუშის ანალიზი. სულ ჩატარდა შვიდი ფოკუსჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდნენ ექვსი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. ფოკუსჯგუფებისთვის შერჩეული იქნა ოთხი უნივერსიტეტი თბილისიდან, ორიც - რეგიონებიდან. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 70-მა სტუდენტმა, რაც კურსის მსმენელთა თითქმის 10%-ს შეადგენდა. ფოკუსჯგუფებში მონაწილეობა სტუდენტებისათვის ნებაყოფლობითი იყო.

ფოკუსჯგუფების შეხვედრების მონაწილეთა შორის ორჯერ ჭარბობდნენ მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები; თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები სასწავლო კურსის მსმენელთა თანაფარდობის პროპორციულია. შვიდ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელდა დაკვირვება 16 ლექციის მსვლელობისას, ხოლო ხუთ უმაღლეს სასწავლებელში აკვირდებოდნენ სტუდენტური სამოქმედო პროექტის 21 პრეზენტაციას. პოპულაციის სამიზნე ჯგუფები იყვნენ როგორც თბილისში, ისე რეგიონებში არსებული უნივერსიტეტების წარმომადგენლები. დაკვირვებას აწარმოებდა რამდენიმე სხვადასხვა პირი და შედეგებს ინიშნავდნენ ერთიანი სტანდარტის მიხედვით. ამან მინიმუმამდე დაიყვანა დამკვირვებელთა მხრიდან ტენდენციურობის რისკი.

## **კურსდამთავრებულთა მოსაზრებები**

„მას შემდეგ, რაც ამ საგნის სწავლა დავიწყე, გაცილებით ნაკლები მძინავს. მსოფლიოში და საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად ვაკვირდები. იმ ინფორმაციას, რომელიც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დასაცავად, ჩემს მეგობრებს, ოჯახის წევრებსა და სხვა სტუდენტებს ვუზიარებ.“

ორი ფოკუსჯგუფის ფარგლებში 14-მა სტუდენტმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია მათზე სასწავლო კურსმა. ახალგაზრდები ხშირად გამოხატავენ ზემოთ მოყვანილი ციტატის მსგავს მოსაზრებებს. მათ განიხილეს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და რიგითი მოქალაქეების როლი. ყველაზე საკვირველი იყო არა გამომჟღავნებული ცოდნა, არამედ კურსის დამთავრების

შემდეგ განხორციელებული აქტივობები. ანგარიშის მომდევნო მონაკვეთი სტუდენტების მიღწევებს ასახავს.

### **მოქალაქეობისა და დემოკრატიის მნიშვნელობის გაცნობიერება**

„მეგონა, საქართველოში დემოკრატია შენდებოდა. ახლა კი ვხვდები, რომ მთავრობა ყოველთვის არ ხელმძღვანელობდა დემოკრატიული პრინციპებით. დაუშვებელია მთავრობის მიერ ისეთი უფლებების შეზღუდვა, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება. ერთ პიროვნებაში ზედმეტად ბევრი ძალაუფლებაა კონცენტრირებული.“

„ახლა უკვე მესმის, რომ დემოკრატია სრულ თავისუფლებას არ ნიშნავს. ჩვენი სურვილისამებრ ვერ მოვიქცევით. გარკვეული ვალდებულებები გვაქვს, კონსენსუსი უნდა იქნას მიღწეული.“

„დემოკრატია ნიშნავს არა თანასწორობას (როგორც მდგომარეობას), არამედ სისტემას, სადაც სხვისი უფლებების დარღვევა მიუღებელია“.

კურსდამთავრებულთა ზემოაღნიშნული განცხადებები მიუთითებს, რომ სტუდენტებმა გააცნობიერეს დემოკრატია და დემოკრატიულ სისტემაში მთავრობის როლი, რაც მისასალმებელია. თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფოკუსჯგუფების შეხვედრების დროს გამოვლინდა, რომ კურსდამთავრებულები მათი უფლებებისა და მოქალაქეთა როლის შესახებ მიღებულ ცოდნას კონკრეტული ქმედებებით გამოხატავდნენ. სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ მოქალაქეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოში დემოკრატიის განვითარებასა და შენარჩუნებაში. ერთ-ერთმა სტუდენტმა განაცხადა: „როდესაც ხალხი [დემოკრატიულ პროცესებში] მონაწილეობას არ იღებს, ის ამით საკუთარ უფლებებს თმობს“. მეორე სტუდენტის თქმით, „ხალხს უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენ წარმოვადგენთ მთავარ ღირებულებას, ჩვენ უნდა ვიმუშავოთ მთავრობის გასაკონტროლებლად“... „მე გავაცნობიერე, რომ ვალდებული ვარ, სხვების უფლებების დაცვაში შევიტანო წვლილი“.

ფოკუსჯგუფის შეხვედრების მონაწილე ყველა კურსდამთავრებული 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩევლის ან დამკვირვებლის სახით მონაწილეობდა. ბევრისათვის არჩევნებში მონაწილეობა რთული გადაწყვეტილების მიღების ტოლფასი იყო. ზოგიერთმა მათგანმა მოიძია ინფორმაცია იმ კანდიდატის საქმიანობის შესახებ, რომელსაც გასულ არჩევნებში დაუჭირა მხარი და მოპოვებული ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე გადაწყვიტა, ამჯერად ხმა სხვა კანდიდატისთვის მიეცა. სხვებმა ხმა იმ კანდიდატის სასარგებლოდ მისცეს, რომელსაც მათი მშობლები არ უჭერდნენ მხარს. მათ, ვინც არჩევნებში დამკვირვებლად მონაწილეობდნენ, ზოგჯერ უწევდათ რეგიონებში გადაადგილება, მათი მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად. ამის გამო ზოგიერთმა მათგანმა საკუთარი არჩევანის დაფიქსირება ვერ შეძლო. ერთ-ერთი გოგონას განმარტებით, მან რთული გადაწყვეტილება

მიიღო და ხმის მიცემის უფლება დათმო, ვინაიდან არჩევნების სწორად ჩატარების უზრუნველყოფა და ამით საქართველოში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია. დაკვირვებისას საარჩევნო უბნებზე დარღვევების შემსწრე ზოგიერთი სტუდენტი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა – ორ შემთხვევაში სტუდენტებმა დაფიქსირებული დარღვევები გააპროტესტეს. ერთ-ერთმა გოგონამ ამომრჩეველთა ხმების ხელახლა დათვლა მოითხოვა და კომისიის თავმჯდომარეს საჩივრის წარდგენით დაემუქრა, როცა ამ უკანასკნელმა საარჩევნო უბნიდან მისი გამეგება მოინდომა. „გავაცნობიერე, რომ კანონი ჩემს მხარეს იყო“, – განაცხადა მან. სტუდენტების ნათქვამიდან და ქმედებებიდან ჩანს, რომ ისინი აცნობიერებენ, რა მოვალეობები აქვს მთავრობას ხალხის წინაშე, რომელსაც იგი ემსახურება. ერთ-ერთი სტუდენტის განმარტებით, „ქართველების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მთავრობა ხალხზე მაღლა დგას მაშინ, როდესაც რეალურად მთავრობას ხელფასს ხალხი უხდის და მისი საქმეა, ხალხს ემსახუროს.“

სტუდენტებმა ჩამოთვალეს მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც მათ სასწავლო კურსზე დარეგისტრირების შემდგომ წამოიწყეს. აქტივობების მრავალფეროვნება სტუდენტთა მიერ დემოკრატიის პროცესში მონაწილეობის სხვადასხვა საშუალებების ცოდნას ადასტურებს. ყველა სტუდენტმა აღნიშნა, რომ მათი აქტიური ჩართულობა სასწავლო კურსის მიმდინარეობისას მიღებულმა გამოცდილებამ განაპირობა; კურსმა მათ შესძინა საკუთარი უფლებების შესახებ ცოდნა, მთავრობასა და საზოგადოებასთან ინტერაქციისათვის საჭირო უნარჩვევები და თავდაჯერებულობა, ამ პროცესშიც ისინი არც ხელისუფლების გამოწვევას ერიდებიან.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტების მიერ განხორციელებული აქტივობები შემდეგნაირად გამოიყურება:

- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვება
- პატიმართა უფლებების დასაცავად გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობა
- მეგობრებისა და ოჯახის წევრების ინფორმირება მათი უფლებების, არჩევნებში მონაწილეობისა და პოლიტიკოსთა გაკონტროლების მნიშვნელობის შესახებ
- პოლიტიკოსთა საქმიანობის კრიტიკული შეფასება და მათი საქმიანობის მონიტორინგი იმის დასადგენად, თუ რამდენად უზრუნველყოფენ უმცირესობების უფლებების დაცვასა და ქალების, ბავშვებისა და ბოშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას
- ინტერნეტითა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით მიმდინარე მოვლენებისათვის თვალ-ყურის მიდევნება
- მედიასაშუალებებით მიღებული ინფორმაციის უფრო კრიტიკულად აღქმა
- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემა
- საპარლამენტო პროცედურული სიახლეების შესახებ მობილური სატელეფონო შეტყობინების გამოწერა

- უნივერსიტეტში არსებული პრობლემების მონიტორინგი და სტუდენტთა უფლებების დასაცავად მობილიზება
- პოლიტიკურ და სოციალურ თემებზე გამართულ დისკუსიებში რეგულარული მონაწილეობა
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისა და ინფორმაციის მოპოვების კუთხით
- არასამთავრობო ორგანიზაციების დაარსება მიუსაფარი ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დასაცავად.

### იდეალიზმი რეალიზმის გრძნობით

„ვიღვიძებდი და ვაცნობიერებდი, რომ გარკვეული მოვალეობები მაკისრია. ერთ მომენტში გავაცნობიერე, რომ ყველა დაბრკოლების გადალახვა და ჩემი იდეების გამოხატვა შემძლია.“

კურსდამთავრებულები აქტიურ და მოტივირებულ ახალგაზრდებს წარმოადგენდნენ, რომელთაც ღრმად სწამდათ თავიანთი შესაძლებლობის, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს დემოკრატიზაციის მიმდინარე პროცესში. ისინი აშკარად აცნობიერებდნენ ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს. „ჩვენ ახალგაზრდა დემოკრატია ვართ, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების გზაზე,“ – განაცხადა ერთ-ერთმა სტუდენტმა.

მიუხედავად ამისა, სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ მათი თაობა მიმდინარე მოვლენებში გადამწყვეტ როლს თამაშობს. „ჩვენს თაობას ცვლილებების ინიცირება შეუძლია“, – განმარტა ერთმა. „მოპოვებულ ცოდნას გამოვიყენებთ იმისათვის, რომ გავაგრძელოთ რეფორმაზე მუშაობა“, – განაცხადა მეორე სტუდენტმა. ამ განწყობას დანარჩენებიც იზიარებენ. უმრავლესობა ამბობს, რომ კანონის უზენაესობას ახლა უფრო მეტ პატივს სცემენ და უფრო მეტად გრძნობენ პასუხისმგებლობას, გააუმჯობესონ საზოგადოება და დაიცვან სხვისი უფლებები. ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, „სწორედ სასწავლო კურსი დამეხმარა მივმხვდარიყავი, რომ მოქალაქე ვარ და შემძლია, ცვლილების განხორციელებაში ჩემი წვლილი შევიტანო.“

ფოკუსჯგუფებში მონაწილე კურსდამთავრებული ახალგაზრდები სრულად აცნობიერებდნენ კურსის მიზნებს. გააზრებული ჰქონდათ კურსის თემატიკა; გააჩნდათ ეფექტური საზოგადოებრივი ჩართულობისათვის საჭირო უნარჩვევები; დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობის მიღებას ესწრაფოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფოკუსჯგუფებში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი და, შესაბამისად, ალბათ, ნაკლებად წარმომადგენლობითი, ფაქტი ერთია – ფოკუსჯგუფებში მონაწილე სტუდენტებს გააჩნდათ თავიანთ ქვეყანაში დემოკრატიის განსამტკიცებლად საჭირო პოტენციალი.

## 2012 წლის I სემესტრიდან 2013 წლის იანვრამდე პერიოდში მიღწეული შედეგები


### მიღებული ცოდნა

სტუდენტთა მიერ კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნის შესაფასებლად მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება კურსის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ. ტესტირებაზე საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად წარმოსაჩენად სტუდენტთა მოტივირების მიზნით პროფესორებს ვურჩიეთ, მიღებული შედეგები სასწავლო კურსის ნიშნებში აესახათ. პროფესორთა უმრავლესობა ასეც მოიქცა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც რჩევა არ გაითვალისწინა. ამასთან, სხვადასხვა რეგიონებში სტუდენტებს აკადემიური მომზადების სხვადასხვა დონე ჰქონდათ. შესაბამისად, ტესტირების შედეგები საკმაოდ არაერთგვაროვანი, მაგრამ დამაიმედებელი იყო, ვინაიდან მიღებულმა შეფასებებმა დაადასტურა, რომ კურსის ფარგლებში სტუდენტებმა ცოდნა მართლაც მიიღეს.

დაანგარიშებული ქულების შესაბამისად სტუდენტები ორ ნაწილად გაიყო: ისინი, ვინც ტესტი ჩააბარა და ისინი, ვინც ჩაიჭრა. ტესტის ჩასაბარებლად სტუდენტებს კითხვების მინიმუმ 60%-ისათვის სწორი პასუხი უნდა გაეცათ. სასწავლო კურსის დაწყებამდე ჩატარებულ ტესტირებაში მონაწილე 458 მდედრობითი სქესის სტუდენტიდან ტესტის ჩაბარება მხოლოდ 9%-მა შეძლო, ხოლო სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ჩატარებულ ტესტირებაში მონაწილე 444 მდედრობითი სქესის სტუდენტიდან ტესტი 43%-მა ჩააბარა. სასწავლო კურსის დაწყებამდე ჩატარებულ ტესტირებაში მონაწილე 282 მამრობითი სქესის სტუდენტიდან ტესტის ჩაბარება მხოლოდ 9%-მა შეძლო, ხოლო სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ჩატარებულ ტესტირებაში მონაწილე 247 მამრობითი სქესის სტუდენტიდან ტესტი 33%-მა ჩააბარა. ცოდნის მიღება ორივე ჯგუფის წარმომადგენლებმა შეძლეს, თუმცა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებმა უფრო უკეთ წარმოაჩინეს მიღებული ცოდნა. ტესტირების შედეგები შეესაბამება 2012 წელს საპილოტე პროგრამის შეფასების შედეგებს. მე-2 და მე-3 ცხრილებში მოცემულია კურსის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ ჩატარებული ტესტირების საერთო შედეგები, პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით.


## ცხრილი 2

კურსის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდგომ ჩატარებული ტესტირებები მამრობითი სქესის სტუდენტებისათვის



## ცხრილი 3

კურსის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდგომ ჩატარებული ტესტირებები მდედრობითი სქესის სტუდენტებისათვის




## სასწავლო კურსის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ ჩატარებული ტესტირების შედეგები რეგიონების, სქესისა და კურსის მიხედვით

ტესტირების შედეგები გაანალიზებამდე რამდენიმე ქვეჯგუფად დაიყო: პირველკურსელი სტუდენტები თბილისის უნივერსიტეტებიდან, სქესის მიხედვით; პირველკურსელი სტუდენტები რეგიონების პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, სქესის მიხედვით; უფროსკურსელი (მეორეკურსელი და ზემოთ) სტუდენტები თბილისის უნივერსიტეტებიდან, სქესის მიხედვით; უფროსკურსელი (მეორეკურსელი და ზემოთ) სტუდენტები რეგიონების პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, სქესის მიხედვით. მე-3 და მე-7 ცხრილებში მოცემულია ტესტირების შედეგების პროცენტული მაჩვენებლები, თითოეული ქვეჯგუფის მიხედვით.


ცოდნის გაღრმავებას ადასტურებს ყველა ქვეჯგუფიდან მიღებული შედეგები, გარდა ერთისა, რომელიც აერთიანებს უფროსკურსელ (მეორეკურსელ და ზემოთ) მამრობითი სქესის სტუდენტებს, რეგიონებში არსებული პარტნიორი უნივერსიტეტებიდან. კერძოდ, ტესტირებაში მონაწილე 25 სტუდენტიდან მხოლოდ 6-მა გადალახა ბარიერი. საგულისხმოა, რომ რეგიონში არსებულ უნივერსიტეტში ჩატარებული ფოკუსჯგუფის შედეგების თანახმად, მამრობითი სქესის სტუდენტები სასწავლო კურსის თემატიკაზე კომპეტენტურად საუბრობდნენ. ეს ურთიერთგამომრიცხავი მონაცემები მიუთითებს, რომ ზოგიერთი სტუდენტი ტესტირებას სერიოზულად არ მოეკიდა ან საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად წარმოჩენა ვერ შეძლო. ეს უკანასკნელი კი, ალბათ, ყველაზე მეტად ეხება რეგიონების პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტებს. კერძოდ, ორივე სახის ტესტირებაში მათ ყველა ქვეჯგუფში თბილისის უნივერსიტეტების სტუდენტებზე დაბალი შედეგები ჰქონდათ.

თუმცა, ფოკუსჯგუფისა და დაკვირვების შედეგებმა აქაც განსხვავებული სურათი აჩვენა, რომლის მიხედვითაც რეგიონებში არსებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს კურსი დაეხმარა უნარჩვევების, ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისა და ეფექტურ დემოკრატიულ მოქალაქეობასთან ასოცირებული განწყობების განვითარებაში. ტესტირებაში მდებდრობითი სქესის სტუდენტებს მამრობითი სქესის სტუდენტებზე უკეთესი შედეგები ჰქონდათ, რაც შეესაბამება 2012 წელს ჩატარებული შეფასების შედეგებს. ამასთან, კურსის დაწყებამდე უფროსკურსელი (მეორეკურსელი და ზემოთ) სტუდენტების ცოდნის დონე ოდნავ აღემატებოდა პირველკურსელებისას. მიუხედავად ამისა, ორივე ტესტირებაში საუკეთესო შედეგები პირველკურსელებს ჰქონდათ.

ცხრილი 4




ცხრილი 5






## ცხრილი 6

თბილისში მდებარე პარტნიორი უნივერსიტეტები – ტესტის ჩაბარება პირველი კურსის სტუდენტების მიერ



## ცხრილი 7

თბილისში მდებარე პარტნიორი უნივერსიტეტები – ტესტის ჩაბარება უფროსი კურსის (მათ შორის მეორე კურსის) სტუდენტების მიერ



ტესტირების შედეგები ადასტურებს, რომ სტუდენტებმა კურსის მეშვეობით მიიღეს ღირებული ცოდნა. თუმცა, ტესტირების ჩაბარების მაჩვენებლები სასურველზე დაბალია, რაც, შესაძლოა, განპირობებული იყოს იმით, რომ სტუდენტები ტესტირებას ნაკლები სერიოზულობით მიუდგნენ ან იმით, რომ მათ ცოდნის მაქსიმალურად წარმოჩენა ვერ შეძლეს. სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ სტუდენტებს კურსის ძირითად თემებთან დაკავშირებით ნათელი წარმოდგენა აქვთ.

## ცოდნის გამოყენება

### ანალიზი და კრიტიკა

„ხალხი, ინდივიდები სახელმწიფოსთვის ყველაზე ფასდაუდებელია და სწორედ ეს უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერი დემოკრატიის ძირითად ფასეულობას“.

„გავაცნობიერე, რომ მე მთავრობის მუშაობით დაინტერესებული პირი ვარ. მთავრობა ჩემთვის მუშაობს. მთავრობის მუშაობის შედეგად კი ჩემი უფლებების დაცვას ვიღებ.“

ლექციებსა და სტუდენტთა სამოქმედო პროექტების პრეზენტაციებზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა, დაგვედგინა, რამდენად კარგად აქვთ სტუდენტებს გააზრებული კურსის თემატიკა; ასევე, რამდენად შეუძლიათ მიღებული ცოდნის ეფექტურად გამოყენება. ფოკუსჯგუფებმა მათი ცოდნის შემოწმების საშუალება მოგვცა. ხსენებული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტებს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენა უყალიბდებათ. მიღებულმა ცოდნამ შეცვალა მათი დამოკიდებულება მთავრობის, საზოგადოებაში მათი როლისა და სხვა მოქალაქეების როლის მიმართ.

სტუდენტები ახლა უკვე მყარად აცნობიერებენ, რომ სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ხალხის უფლებები. სტუდენტები ხშირად განიხილავდნენ ეთიკურ, სოციალურ და სამართლებრივ საკითხებს და საკუთარ მოსაზრებებს იცავდნენ იმ ცოდნაზე დაყრდნობით, რომელიც ინდივიდის უფლებებისა და სახელმწიფოს როლის შესახებ მიიღეს. მაგალითად, ეფექტური მმართველობის შესახებ დისკუსიის დროს ერთ-ერთმა სტუდენტმა განაცხადა: „სახელისუფლებო ინსტიტუტები დეცენტრალიზებული უნდა იყოს... ისინი კანონს უნდა ემორჩილებოდეს და არა კონკრეტული ინდივიდებს“. „18 წლამდე ჩემთვის სიგარეტის ყიდვა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმის გამო, რომ კანონის უზენაესობა ეფექტურად არ არის დაცული, სიგარეტის ყიდვა მაინც შემეძლო“, – განაცხადა მეორე სტუდენტმა. მსგავსი განცხადებებიდან ჩანს, რომ სტუდენტებს ესმით მთავრობის როლი დემოკრატიაში, მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვისა და კანონის უზენაესობის მნიშვნელობა.

„ხალხის წინაშე მთავრობის ვალდებულებაზე როცა ვსაუბრობთ, არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რა როლი აქვთ მოქალაქეებს მმართველობის გაუმჯობესებაში. მოქალაქეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.“

„მთავრობის ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, ხოლო მოქალაქეები მთავრობას კრიტიკულად უნდა მიუდგნენ.“

აშკარაა, რომ სტუდენტებს ესმით ის პასუხისმგებლობები, რომლებიც ორივე მხარეს – როგორც მთავრობას, ისე ხალხს – აკისრია. აღნიშნული მნიშვნელოვნად განსხვავდება სამოქალაქო ჩართულობის პასიური აღქმისაგან, რომელიც, სტუდენტების თქმით, ქართულ საზოგადოებას ახასიათებს. ფოკუსჯგუფის შეხვედრების დროს სტუდენტები საქართველოში დემოკრატიული მენტალიტეტის ნაკლებობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას და განმარტავდნენ, რომ საბჭოთა მმართველობის დროს დემოკრატიული მენტალიტეტის აუცილებლობა არ არსებობდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ხალხის უმეტესობა ინიციატივას მთავრობისგან ელოდა. სტუდენტები დაჟინებით აცხადებდნენ, რომ ხალხმა მთავრობის ანგარიშვალდებულების მოთხოვნაში აქტიური როლი უნდა ითამაშოს. ერთ-ერთი სტუდენტის თქმით, „კონტროლის არარსებობის პირობებში მთავრობა უფლებების დარღვევას შეძლებს.“

სტუდენტებმა ასევე წარმოაჩინეს ცოდნის მაღალი დონე ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ადამიანის უფლებები და სამოქალაქო საზოგადოების როლი. დისკუსიების დროს სტუდენტებმა თავიანთი ცოდნა გამოიყენეს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ამჟამინდელი მდგომარეობის კრიტიკული ანალიზისთვის. ერთ-ერთის განცხადებით, „სამოქალაქო საზოგადოებამ მთავრობა უნდა აკონტროლოს.“ მაგალითისათვის სტუდენტმა მოიყვანა ერთი შემთხვევა, რომლის დროსაც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას სამოქალაქო საზოგადოების რეაგირება არ მოჰყოლია, რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოება საკუთარ როლს ჯერ-ჯერობით ვერ ახორციელებს. სტუდენტებმა გააკრიტიკეს სამოქალაქო საზოგადოების პასიურობა შშმ პირთა, სექსუალური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით. არაერთხელ აღინიშნა, რომ „ყველას თანაბრად უნდა ეპყრობოდნენ“ და „კანონი ყველაზე თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს.“

სტუდენტების მიერ გამოხატული აზრებითა და მათი ქმედებებით თუ ვიმსჯელებთ, მათ კარგად ესმით, რომ ადამიანის უფლებები საყოველთაოა და მათი დარღვევა პიროვნებისა თუ მთავრობის მიერ მიუღებელია. სასწავლო კურსის დაწყებამდე ბევრი მათგანი აცხადებდა, რომ არ იცოდნენ, რა უფლებები გააჩნდათ და რა საშუალებები არსებობდა ადამიანის უფლებების დარღვევების აღსაკვეთად. ახლა კი მიღებული ცოდნა სტუდენტებს კონკრეტული ქმედებების განხორციელებისა და მთავრობის კრიტიკისკენ უბიძგებს. პროექტის პრეზენტაციებისას სტუდენტები ხშირად აკრიტიკებდნენ მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საქართველოს მოქალაქეების ქმედებებსა თუ უმოქმედობას. ხანდაზმულების, უსახლკარო ბავშვებისა და ობლების, შშმ

პირებისა და სექსუალური უმცირესობების პრობლემებზე საუბრისას სტუდენტები მთავრობას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო მოქალაქეთათვის სოციალური დაცვის სრულად უზრუნველყოფა. დისკუსიის დროს სტუდენტები იშველიებდნენ შესაბამის კანონებს, კონსტიტუციის მუხლებსა და საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ჯანდაცვის, განათლების, თანაბარი შესაძლებლობებისა და ადამიანური ღირსების უფლებებს იცავს. სტუდენტებმა ასევე ისაუბრეს სახალხო დამცველის, ქართული სასამართლოებისა და ევროპული სასამართლოს როლის შესახებ ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში. ზოგ შემთხვევებში სტუდენტებმა გააკრიტიკეს ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს გახშირებულ კანონდარღვევებზე საპასუხო რეაგირება, განსაკუთრებით პროსტიტუციის, ტრეფიკინგისა და მცირეწლოვნებისთვის ალკოჰოლური სასმელების მიყიდვის შემთხვევებში. საუბარი შეეხო სამოქალაქო საზოგადოების უყურადღებობას იმ პრობლემების მიმართ, რომლებიც სტუდენტებმა საკუთარ სამოქმედო პროექტებში დეტალურად ასახეს. ზოგადად, სტუდენტები თვლიან, რომ სამოქალაქო საზოგადოება სუსტია. ამავდროულად, ისინი აცნობიერებენ, რომ სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია ითანამშრომლოს გადამწყვეტი როლი, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ბევრი მათგანი თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან საკანონმდებო ცვლილებების განხორციელებისა და არსებული კანონების აღსრულების, ასევე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით.

## ქმედება

“გავაცნობიერეთ, რომ ლოდინი არ მოგვიწევს, თუ თავად ვიქნებით ინიციატორები.”

„ვერ წარმოგვედგინა, რომ ცვლილების განხორციელება ასე ცოტა ადამიანს შეეძლო“.

„ახლა უკვე ვიცი, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი ვარ, საზოგადოების გასაუმჯობესებლად ბევრი რამის გაკეთება შემიძლია.“

დემოკრატიულ გარემოში მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების როლისა და პიროვნების უფლებების შესახებ მიღებული ცოდნის გამოყენების გარეშე ტესტირების წარმატებით ჩაბარებას ფასი ეკარგება. საბედნიეროდ, მიღებული შედეგები აშკარად ცხადყოფს, რომ 2012 წლის შემოდგომაზე დაწყებული სასწავლო კურსის მსმენელებს ეს საფრთხე არ ემუქრებათ. სტუდენტები თავდაჯერებულად განიხილავდნენ მათ ხელთ არსებულ შესაძლებლობებსა და იმ ქმედებებს, რომლებიც უკვე განხორციელეს, როგორც დემოკრატიული საზოგადოების პასუხისმგებლობით აღსავსე და აქტიურმა წევრებმა. იმ სტუდენტების დიდი უმრავლესობა, რომელთაც ფოკუსჯგუფების შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა ან რომელთა პროექტების პრეზენტაციასაც დავაკვირდით, სამოქალაქო პასუხისმგებლობით აღსავსე აქტიური ახალგაზრდები იყვნენ,

რომელთაც ადგილობრივ დონეზე ცვლილების განხორციელების ძალა შესწევდათ. მათი განცხადებით, განცდილ ტრანსფორმაციაში დიდი როლი ითამაშა სასწავლო კურსის ფარგლებში გაწეულმა საქმიანობამ და სტუდენტური პროექტების სამოქმედო გეგმებმა. ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, „პროექტი დამეხმარა, მესწავლა, როგორ ვყოფილიყავი აქტიური მოქალაქე.“

სწორედ თავიანთი სამოქმედო პროექტების საშუალებით შეძლეს სტუდენტებმა მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული განხორციელება. ისინი ახორციელებდნენ პროექტებს, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობა უწევდათ; ეცნობოდნენ და იყენებდნენ კანონებს; ესაუბრებოდნენ საჯარო მოხელეებს, ადგილობრივ მოქალაქეებსა და სხვა სტუდენტებს. სტუდენტთა უმეტესობამ შერჩეული პრობლემური საკითხი სხვადასხვა კუთხით გამოიკვლია და საკუთარი ცოდნა პრობლემის გადაჭრისა და რეაგირებისთვის გამოიყენა. სტუდენტები აცნობიერებდნენ, რომ მთავრობა ვალდებულია, დაიცვას და ხელი შეუწყოს სხვისი უფლებების განხორციელებას, ასევე გადადგას კონკრეტული ნაბიჯები საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, სტუდენტები მხოლოდ ამ პოზიციით არ შემოფარგლულან. ჩატარებული კვლევის ფარგლებში მათ ასევე გაამახვილეს ყურადღება სამოქალაქო საზოგადოების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე და იმ ქმედებებზეც, რომელთა განხორციელება ცალკეულ მოქალაქეებს შეუძლიათ. სტუდენტები შესწავლილი პრობლემის მოსაგვარებლად ხშირად კონკრეტულ ქმედებებს ახორციელებდნენ, რისი ჩამონათვალიც ქვემოთ არის მოცემული. ეს ჩამონათვალი ადასტურებს, რომ სტუდენტებს კარგად ესმით აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობა და ამ ცოდნას პრაქტიკაში იყენებენ.

სტუდენტების მიერ განხორციელებული აქტივობები:

- სამოქმედო პროექტის ფარგლებში შერჩეული თემის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად აწარმოეს გამოკითხვები
- ჩაატარეს სავლეთ კვლევა კონკრეტული საკითხების უკეთ შესასწავლად, მათ შორის:
  - შეისწავლეს უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის საკითხი სურსათის ეტიკეტირებისას;
  - მოინახულეს მაღაზიები, გაესაუბრნენ მეპატრონეებს, მოისმინეს მათი მოსაზრებები;
  - მოინახულეს ადგილობრივი ობოლთა თავშესაფარი და გაეცნენ იქ შესახლებული ბავშვების მდგომარეობას.
- იდენტიფიცირებული პრობლემის თანატოლებისათვის გასაცნობად შექმნეს გვერდი Facebook-ზე
- ადგილობრივ დონეზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებად საკუთარი ხარჯებით დაბეჭდეს და დაარიგეს ბროშურები და ფლაერები
- დაგეგმეს და ორგანიზება გაუწიეს ტრენინგს დეფიბრილატორების გამოყენების შესახებ
- მოხალისეებად მსახურობდნენ „წითელ ჯვარში“

- ორგანიზება გაუწიეს საქველმოქმედო აქციებს და სახსრები შეაგროვეს სხვადასხვა მიზნების დასაფინანსებლად, მათ შორის
  - შშმ პირთა დასახმარებლად უმასპინძლეს საქველმოქმედო კონცერტს ბათუმში
  - ობოლთა და ხანდაზმულთა თავშესაფრების დასახმარებლად შეაგროვეს შემოწირულობები კერძო კომპანიებიდან
- მუშაობდნენ სტაჟიორებად არასამთავრობო ორგანიზაციებში
- შეუერთდნენ „სტუდენტურ კლუბს სოციალური კეთილდღეობისათვის“ ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების დასაძლევად
- ახდენდნენ მოქალაქეთა ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ, რათა მათ შესძლებოდათ საკუთარი უფლებების დაცვა, კერძოდ:
  - აწყობდნენ საგანმანათლებლო პროგრამებს უმცროსი სტუდენტებისათვის და სოფლებში მაცხოვრებელთათვის, რომელთაც ხელი არ მიუწვდებოდათ სამოქალაქო განათლების პროგრამებზე
- აგროვებდნენ ხელმოწერებს ადგილობრივ ხელისუფლებაში წარსადგენი პეტიციებისთვის
- ორგანიზებას უწევდნენ ე.წ. „ფლეშმობებს“ სხვადასხვა თემებზე.

## სტუდენტების მიერ გამოვლენილი უნარჩვევები

### სტუდენტთა სამოქმედო პროექტები

სტუდენტთა სამოქმედო პროექტების ფარგლებში ყველა სტუდენტმა ჩაატარა არჩეული პრობლემის შესახებ წარმოებული კვლევის, შემუშავებული რეკომენდაციებისა და მის დასაძლევად განხორციელებული საქმიანობის პრეზენტაცია. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად აითვისეს სტუდენტებმა დემოკრატიულ საზოგადოებაში ეფექტურ სამოქალაქო მონაწილეობასთან დაკავშირებული უნარჩვევები, პრეზენტაციებს ესწრებოდნენ დამკვირვებლები. ისინი სტუდენტთა მიერ გამოვლენილი უნარჩვევებისა და შესაბამისი დასაბუთების აღრიცხვას აწარმოებდნენ.

მე-8 ცხრილში მოცემულია უნარჩვევების ჩამონათვალი და სტუდენტთა სამოქმედო პროექტების პრეზენტაციებზე დასწრების დროს მათი გამოვლენის შემთხვევების საერთო რაოდენობა.

**ცხრილი 8 - სტუდენტთა სამოქმედო პროექტების პრეზენტაციის დროს გამოვლენილი უნარჩვევები**

უნარჩვევები, რომელთა დაკვირვებაც მიმდინარეობდა პრეზენტაციების დროს	რაოდენობა
1. კრიტიკული აზროვნება	20
2. ინფორმირებული, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება	12
3. ინფორმაციის ანალიზი	20
4. ინფორმაციის შეფასება	17
5. საკითხების განხილვა და სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინება	17
6. ტენდენციურობისა და თვალსაზრისის მნიშვნელობის გაცნობიერება, წყაროს სანდოობის შეფასება	7
7. მიმდინარე მოვლენებისა და საკითხების შესწავლა	20
8. კითხვების ფორმულირება ინფორმაციის საფუძველზე	11
9. ინფორმაციის მოსაპოვებლად ეფექტური სტრატეგიების გამოყენება	11
10. ინფორმაციის წერილობით, ზეპირად და ცხრილის სახით გადმოცემა	14
11. გუნდური მუშაობა მიზნის მისაღწევად	15
12. ლიდერობა	11
13. პრობლემის გადაჭრა	12
14. ეფექტური და რაციონალური არგუმენტის მოყვანა	12

ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაკეთდა ორი მნიშვნელოვანი დასკვნა. პირველი ის, რომ სტუდენტების უმრავლესობამ გამოავლინა დემოკრატიულ საზოგადოებაში ეფექტური სამოქალაქო ჩართულობისათვის საჭირო უნარჩვევები. ყველაზე ხშირად სტუდენტები შემდეგ უნარებს ავლენდნენ: კრიტიკული აზროვნება; ინფორმაციის შეფასება და ანალიზი; მიმდინარე მოვლენების შესწავლა; საკითხების სხვადასხვა კუთხიდან გაანალიზება; გუნდური მუშაობა. ამ თვისებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აქტიური, კარგად ინფორმირებული და გონივრული სამოქალაქო ჩართულობისათვის.

მეორე ის, რომ სტუდენტებს არაერთი უნარის განმტკიცება ესაჭიროებათ. დამკვირვებელთა მიერ გამოთქმული კრიტიკა და გარკვეული უნარჩვევების ნაკლებობა მიუთითებს, რომ ბევრ სტუდენტს უფრო მეტი მომზადება ესაჭიროება ტენდენციურობისა და თვალსაზრისის მნიშვნელობის გაცნობიერების, წყაროს საიმედოობის შეფასების, ინფორმაციაზე დაყრდნობით კითხვების ფორმულირების, ინფორმაციის მოპოვების ეფექტური სტრატეგიების გამოყენებისა და პრობლემების გადაჭრის კუთხით. დამკვირვებლებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ ზოგიერთ სტუდენტს ზეპირი მეტყველებისა და მულტიმედიური პრეზენტაციის უნარების განმტკიცებაც ესაჭიროება. ვინაიდან ინფორმაციის ეფექტურად და დამაჯერებლად გადმოცემა მნიშვნელოვანია

ადვოკატირებისათვის, ზემოაღნიშნული შენიშვნები სამომავლოდ უნდა იქნას გათვალისწინებული.

### ლექციების დროს წარმოებული დაკვირვება

ლექციების დროს წარმოებული დაკვირვებისას სტუდენტებმა მნიშვნელოვანი უნარჩვევები გამოამჟღავნეს. ისინი სამოქმედო პროექტის ფარგლებში მიღწეულ პროგრესს უზიარებდნენ პროფესორებსა თუ თანაკურსელებს და ისმენდნენ მათ მოსაზრებებს. დამკვირვებელთა მიერ ძირითადად აღირიცხა შემდეგი უნარჩვევები: კრიტიკული აზროვნება, პოზიციის გამოხატვა და დაცვა, სხვების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კრიტიკული აღქმა. სტუდენტები აანალიზებდნენ ერთმანეთის მიერ გაწეულ სამუშაოს და გამოთქვამდნენ კონსტრუქციულ შენიშვნებს. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაშიც კი სტუდენტები საკუთარ მოსაზრებებს ცივილიზებულად გამოხატავდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა. დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, რომ ასეთ შემთხვევებში პროფესორები ვერ ახერხებდნენ სიტუაციის სათანადოდ მართვას და აკადემიური სწავლებისთვის შესაფერისი გარემოს შექმნას.

სტუდენტების დაკვირვება აგრეთვე მიმდინარეობდა გუნდური მუშაობის, საკლასო დისკუსიების, პრაქტიკული მაგალითების ანალიზისა, დებატებისა და როლური თამაშების დროს. დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტებმა გამოამჟღავნეს კრიტიკული აზროვნების, გუნდური მუშაობის, პრობლემების გადაჭრის, საკუთარი პოზიციების სტატისტიკური მონაცემებით გამყარების, ინფორმაციის ორგანიზების, სხვების მოსმენისა და ინფორმაციაზე დაყრდნობით კითხვების ფორმულირების უნარჩვევები. ზემოხსენებული აქტივობები სტუდენტებს ეხმარებათ ისეთი უნარჩვევების განვითარებაში, რომლის ნაკლებობაც აღინიშნა პრეზენტაციების დროს. რეკომენდებულია, გაგრძელდეს აღნიშნული მეთოდების გამოყენება.

ლექციებსა და სამოქმედო პროექტების პრეზენტაციებზე დაკვირვებით მოპოვებული ინფორმაცია საკმაოდ დამაიმედებელია, ვინაიდან ადასტურებს, რომ სასწავლო კურსმა დადებითი გავლენა იქონია სტუდენტთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კუთხით. დაკვირვებამ ასევე აჩვენა, რომ პროფესორები და მათ მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია გადამწყვეტ როლს თამაშობს სასწავლო კურსის მიზნების მიღწევაში. სამოქმედო პროექტების განხორციელებამ და სწავლების ინტერაქციულმა მეთოდებმა, რომლებზედაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პროფესორების მომზადების პროცესში, ასევე მასწავლებელთა სახელმძღვანელომ უაღრესად დიდი როლი ითამაშა სტუდენტთა უნარჩვევების განვითარებაში.



## სამოქალაქო თვისებების განვითარება

### მოქალაქეობის ახლებური აღქმა

„მანამდე ვერ ვაცნობიერებდი სოლიდარობისა და სხვისი უფლებების დაცვის მნიშვნელობას“.

„საზოგადოების გაუმჯობესებაზე ზრუნვა და სხვების უფლებების დაცვა გამირობად კი არ უნდა აღიქმებოდეს, არამედ, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს.“

წინამდებარე კვლევის საფუძველზე გაკეთებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასკვნას წარმოადგენს ის, რომ სტუდენტები საკუთარ თავს აღიქვამენ მოქალაქეებად და სამოქალაქო ჩართულობას ესწრაფვიან. მათი უმეტესობა აღნიშნავდა, რომ მანამდე ბევრი არაფერი იცოდა არც საკუთარი უფლებების შესახებ და არც ის, თუ რა შესაძლებლობები არსებობს საზოგადოების გაჯანსაღებისთვის.

სტუდენტები ასევე აცხადებდნენ, რომ ახლა მათ უკვე ესმით, რა როლი შეიძლება ითამაშოს პიროვნებამ საზოგადოებაში. ერთ-ერთი სტუდენტის თქმით, „მოქალაქეებმა საკუთარი ინტერესები უნდა დაიცვან“. თავიანთი სამოქმედო პროექტების განხილვის დროს სტუდენტებმა წარმოადგინეს სამოქალაქო ჩართულობის არაერთი შესაძლებლობა. მათ ისაუბრეს ადვოკატირებაზე, მათ შორის მოქალაქეთა ინფორმირებაზე, ცნობიერების ამაღლებაზე, ცვლილების მოსახდენად საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზებაზე. ბევრმა მათგანმა განაცხადა, რომ საზოგადოება ვალდებულია, იმოქმედოს. ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა: „ჩემი აზრით, საზოგადოების ყველა წევრი უფრო აქტიურად უნდა გამოხატავდეს საკუთარ ინტერესებსა და საჭიროებებს“. ამ მოსაზრებას სხვა სტუდენტებიც იზიარებდნენ.

სტუდენტები საუბრობდნენ კურსის მიმდინარეობისას განცდილ ტრანსფორმაციაზე. ერთ-ერთი ჯგუფის განცხადებით, პროექტის დაწყებისას მათ პესიმისტური განწყობა ჰქონდათ და არ სჯეროდათ, რომ 18 წლის ახალგაზრდებს ცვლილების მოხდენა შეეძლოთ. „პროექტზე მუშაობის პროცესში, - ამბობდნენ სტუდენტები, - ჩვენ დავრწმუნდით, რომ შესაძლებელი იყო სწავლა იმისა, თუ როგორ დავიცვათ ჩვენი და სხვისი უფლებები. დავრწმუნდით, რომ მთავრობამ სერიოზულად უნდა აღგვიქვას.“ თავდაპირველად ხელისუფლების წარმომადგენლებმა სტუდენტები არასერიოზულად მიიღეს, მაგრამ როგორც კი მათ თავიანთი ცოდნა გამოამჟღავნეს და კონკრეტული კანონები მოიშველიეს, მათ მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. სტუდენტებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით ორგანიზება გაუწიეს კამპანიებს კანონის უზენაესობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის ასამაღლებლად. სემესტრის დასასრულ, იმავე სტუდენტებს უკვე ახალი წარმოდგენა ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, თუ რისი მიღწევა შეუძლიათ რიგით მოქალაქეებს. ცვლილებების წარმატებით განხორციელება სხვა ჯგუფებმაც შეძლეს. სტუდენტების თქმით, ტრანსფორმაციის პროცესი დაიწყო მაშინ,

როდესაც საქველმოქმედო კონცერტების მეშვეობით წარმატებით შეძლეს შემოწირულობების შეგროვება და ობოლთა თავშესაფრებს საჩუქრები გადასცეს. ამ კუთხით სტუდენტებისათვის ასევე მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო ხელისუფლების წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ კანონის აღსრულების გაუმჯობესების კუთხით.

*„უმცირესობების მიმართ სოლიდარობის გრძნობა გამიჩნდა, ვინაიდან ახლა უკვე მესმის, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია.“*

*„სტერეოტიპების დარღვევა ადვილია, თუ სხვის აზრსაც მოუსმენ.“*

*„მანამდე სხვების უფლებებს ყურადღებას არ ვაქცევდი.“*

სტუდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ შეიცვალა მათი დამოკიდებულება სხვების მიმართ. ზემოაღნიშნული ციტატები მოწმობს, რომ სტუდენტები უფრო გონებაგახსნილები და ემპათიურები გახდნენ. ბევრი მათგანი აღნიშნავდა, რომ საკითხების სხვადასხვა კუთხიდან გაანალიზებამ და სხვების მოსაზრებების მოსმენამ ისინი განსხვავებული შეხედულებების მიმართ უფრო ტოლერანტულები გახადა. ზოგ სტუდენტს კანონის განსხვავებული პერსპექტივიდან შესწავლამ აუხილა თვალი. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კანონს ისინი მანამდეც სწავლობდნენ, ახლა პირველად გაიაზრეს, რომ „კანონის მიღმა ადამიანები დგანან.“ განხორციელებული ცვლილების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს უსახლკარო და ქუჩის ბავშვების პრობლემებზე მომუშავე ჯგუფის საქმიანობა. მათი დამოკიდებულება შეიცვალა პრობლემის შესწავლისა და ბავშვებთან ინტერაქციის შემდეგ. ისინი უსახლკარო ქუჩის ბავშვებს უკვე ბინძურ, ღარიბ და საშიშ არსებებად კი აღარ აღიქვამდნენ, არამედ „ადამიანებად“. სტუდენტები აგრძელებენ მუშაობას საზოგადოების ამ ნაწილის შესახებ დანარჩენების ინფორმირებისთვის და მათი დამოკიდებულების შესაცვლელად.

ლექციებსა და პრეზენტაციებზე დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ კურსის სტუდენტებმა სამოქალაქო ჩართულობასთან დაკავშირებული თვისებები შეიძინეს. დამკვირვებლებმა ამ შემთხვევაშიც აღრიცხეს ის კონკრეტული თვისებები, რომლებიც სტუდენტებმა თავიანთი სამოქმედო პროექტების პრეზენტაციის პროცესში გამოავლინეს (იხ. ცხრილი N9).

**ცხრილი N 9 - სტუდენტური სამოქმედო პროექტების პრეზენტაციის პროცესში გამოვლენილი თვისებები**

თვისებები, რომლებზე დაკვირვებაც მიმდინარეობდა პრეზენტაციების დროს	რაოდენობა
1. სტუდენტი აცნობიერებს, რომ პიროვნება ვალდებულია, როგორც მოქალაქემ, იკისროს გარკვეული პირადი, პოლიტიკური და ეკონომიკური პასუხისმგებლობები	17
2. პიროვნებისა და ადამიანური ღირსების პატივისცემა	21
3. ავტორიტეტული ინსტიტუტების პატივისცემა და ნდობა; კანონის უზენაესობის პატივისცემა	12
4. ტოლერანტობა განსხვავებული შეხედულებებისა და ცხოვრების წესის მიმართ	10
5. სტუდენტი დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია ცვლილების მოხდენა ადგილობრივ დონეზე	12
6. სტუდენტი გამსჭვალულია სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძობით, რომელიც გამოვლინდება კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების მხარდაჭერაში და სამოქალაქო პროცესებში ინფორმირებულ, გააზრებულ და ეფექტურ მონაწილეობაში.	12

სტუდენტების მიერ გამოვლენილი თვისებებიდან ყველაზე თვალსაჩინო პიროვნებისა და ადამიანის ღირსების პატივისცემა იყო, აგრეთვე ის, რომ სტუდენტები აცნობიერებდნენ პიროვნების, როგორც მოქალაქის ვალდებულებას, იკისროს გარკვეული პირადი, პოლიტიკური და ეკონომიკური პასუხისმგებლობები. თავად სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ მათ შეეცვალათ წარმოდგენა საზოგადოებაში მოქალაქის როლისა და ადამიანის უფლებების შესახებ, რაც დაადასტურა კიდევ დაკვირვების ზემოაღნიშნულმა შედეგებმა.

თავიანთი სამოქმედო პროექტის ფარგლებში სტუდენტებს უნდა მოეხდინათ საქართველოში არსებული ერთ-ერთი პრობლემის იდენტიფიცირება. 2012 წლის შემოდგომის სემესტრისთვის ზოგმა სტუდენტმა შემდეგი თემები აირჩია: ყველა მოქალაქის მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის ღირებულების გადახდის პრობლემა და სურსათის ეტიკეტირების პრაქტიკის გაუმჯობესება მომხმარებელთა უსაფრთხოების დასაცავად. მართალია, ეს მნიშვნელოვანი საკითხები ასახავს სტუდენტთა დამოკიდებულებას განვითარებისა და საჯარო პოლიტიკის აღსრულების მიმართ, ისინი, შესაძლოა, არ წარმოადგენდნენ ფართო საზოგადოების, მათ შორის საზოგადოების ყველაზე მეტად მარგინალიზებული ნაწილის საზრუნავს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური პროექტების უმრავლესობა ასახავდა ქვეყანაში არსებულ ისეთ სერიოზულ სოციალურ პრობლემებს, როგორებიცაა უპატრონო ბავშვების, ხანდაზმულების, შშმ პირების, სექსუალური უმცირესობების, ტრეფიკინგისა და პროსტიტუციის მსხვერპლთა, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა და დაავადებულ ბავშვთა მდგომარეობა, სამოქალაქო განათლების ნაკლებობა და მოზარდთა მიერ ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას. სტუდენტებს მხოლოდ ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზი რომ შეესწავლათ და

მთავრობის ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ განხორციელებული ქმედებები მიმოეხილათ, გაგვიჭირდებოდა იმის დადგენა, თუ პირადად ისინი რამდენად ესწრაფვიან საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ სტუდენტებმა ცვლილების მოსახდენად კონკრეტული ქმედებები განახორციელეს: საქველმოქმედო ღონისძიებების დაგეგმვა და მასპინძლობა; თანატოლთა და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება საკუთარი ხარჯებით, ბროშურებისა და ფლაერების დაბეჭდვითა და გავრცელების გზით; არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ტრენინგების ორგანიზების მიზნით ისეთ თემებზე, როგორებიცაა დეფიბრილატორის გამოყენება და სამოქალაქო განათლება მაღალმთიან სოფლებში; თანამშრომლობა მოხალისეებად ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან როგორიცაა „წითელი ჯვარი“ და საკანონმდებლო ცვლილებების მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვება. ამ ღონისძიებებზე საუბრისას იგრძნობოდა, რომ სტუდენტები რეალურად ესწრაფოდნენ ცვლილების განხორციელებას. ბევრი მათგანი საქმიანობის გაგრძელებას კურსის დასრულების შემდეგაც აპირებდა. ერთ-ერთ უნივერსიტეტში სტუდენტები გეგმავენ, საქველმოქმედო კონცერტი ყოველწლიურ ღონისძიებად აქციონ. ახალგაზრდები აცნობიერებენ, რომ მათ ადგილობრივ დონეზე დადებითი წვლილის შეტანა და სხვების ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლიათ.


კურსის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ ჩატარებულმა ტესტირებამ ასევე საშუალება მოგვცა, შეგვეფასებინა სტუდენტების ქცევა და განწყობა-დამოკიდებულება, როგორც ცვლილების საზომი ერთ-ერთი ინდიკატორი. ტესტირების ფარგლებში სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ ქვემოთ მოყვანილი ხუთი წინადადება (რომლებიც ასახავენ ეფექტურ სამოქალაქო ჩართულობასთან დაკავშირებულ თვისებებს) და აერჩიათ შემდეგი სავარაუდო პასუხებიდან ერთ-ერთი: „სრულად არ ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“, „ვეთანხმები“, „სრულად ვეთანხმები“.

1. სხვებთან ხშირად განვიხილავ და გამოვხატავ საკუთარ მოსაზრებას საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე.
2. არჩევნებში ხმის მიცემა ქართულ დემოკრატიაში მონაწილეობის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს.
3. ადამიანებმა პატივი უნდა სცენ ქართული საზოგადოების ყველა წევრის უფლებებს.
4. მნიშვნელოვანია, რომ ქართული საზოგადოების წევრები გაერთიანდნენ ორგანიზაციებში საერთო ინტერესების დასაცავად.
5. ქართული საზოგადოების წევრებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ პოლიტიკურ საკითხებს გაზეთების, რადიოს, ტელევიზიისა თუ ინტერნეტის საშუალებით.

კურსის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ ჩატარებული ტესტირების ფარგლებში სტუდენტებმა განსხვავებული დამოკიდებულებები დააფიქსირეს. პოზიტიურად შეფასდა ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტებმა თანხმობა გამოხატეს იმ წინადადებების მიმართ, რომელსაც მანამდე არ ეთანხმებოდნენ. შემთხვევითი შერჩევის მეთოდით არჩეული იქნა შესრულებული ტესტების 20%, რომლის ფარგლებშიც კურსის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ ჩატარებული ტესტირების შედეგები შედარებული იქნა სქესისა და შემდეგი ოთხი ქვეკატეგორიის მიხედვით: მდედრობითი სქესის სტუდენტები თბილისში მდებარე უნივერსიტეტებიდან; მამრობითი სქესის სტუდენტები თბილისში მდებარე უნივერსიტეტებიდან; მდედრობითი სქესის სტუდენტები რეგიონებში მდებარე უნივერსიტეტებიდან და მამრობითი სქესის სტუდენტები რეგიონებში მდებარე უნივერსიტეტებიდან. ქვემოთ მოყვანილი ცხრილები N10 და N11 ასახავს დამოკიდებულების ცვლილებას სქესის მიხედვით.

**ცხრილი 10**


**დადებითი ცვლილებები დამოკიდებულებასა და ქცევაში შემთხვევით შერჩეული მდედრობითი სქესის სტუდენტები რაოდენობა – 88  
სულ – 325**



იმ მდედრობითი სქესის სტუდენტების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც კურსის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ ჩატარებულ ტესტირებაში დადებითი ცვლილება დააფიქსირეს

ცხრილი 11

დადებითი ცვლილებები დამოკიდებულებასა და ქცევაში  
 შემთხვევით შერჩეული მამრობითი სქესის სტუდენტები  
 რაოდენობა – 48  
 სულ – 139



მე-11 ცხრილი ასახავს თითოეულ ქვეკატეგორიაში იმ სტუდენტების პროცენტულ რაოდენობას, რომელთა დამოკიდებულებაც შეიცვალა კონკრეტული წინადადების მიმართ. უმეტესად უმნიშვნელო ცვლილებები დაფიქსირდა. კერძოდ, სტუდენტებმა, რომელთაც კურსის დაწყებამდე ჩატარებულ ტესტში აირჩიეს პასუხი „ვეთანხმები“, კურსის დასრულების შემდეგ ჩატარებულ ტესტში იმავე წინადადებასთან დაკავშირებით უპასუხეს „სრულად ვეთანხმები“. რამდენიმე შემთხვევაში სტუდენტები, რომლებიც მანამდე მოცემულ წინადადებას „სრულად არ ეთანხმებოდნენ“, „დაეთანხმნენ“ ან „სრულად დაეთანხმნენ“.

ცხრილი N12

შეკითხვა	მდედრობითი სქესის სტუდენტები თბილისში მდებარე უნივერსიტეტებიდან, დადებითი ცვლილების პროცენტული მაჩვენებელი	მამრობითი სქესის სტუდენტები თბილისში მდებარე უნივერსიტეტებიდან, დადებითი ცვლილების პროცენტული მაჩვენებელი	მდედრობით სქესის სტუდენტები რეგიონებში მდებარე უნივერსიტეტებიდან, დადებითი ცვლილების პროცენტული მაჩვენებელი	მამრობითი სქესის სტუდენტები რეგიონებში მდებარე უნივერსიტეტებიდან, დადებითი ცვლილების პროცენტული მაჩვენებელი
სხვებთან ხშირად განვიხილავ და გამოვხატავ საკუთარ მოსაზრებას საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე	24%	20%	9%	18%
არჩევნებში ხმის მიცემა ქართულ დემოკრატიაში მონაწილეობის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს	17%	15%	21%	11%
ადამიანებმა პატივი უნდა სცენ ქართული საზოგადოების ყველა წევრის უფლებებს	28%	0%	26%	25%
მნიშვნელოვანია, რომ ქართული საზოგადოების წევრები გაერთიანდნენ ორგანიზაციებში საერთო ინტერესების დასაცავად	41%	25%	26%	19%
ქართული საზოგადოების წევრებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ პოლიტიკურ საკითხებს გაზეთების, რადიოს, ტელევიზიისა თუ ინტერნეტის საშუალებით	46%	40%	40%	7%

მიუხედავად იმისა, რომ კურსის დაწყებამდე სტუდენტების მიერ გაცემული პასუხები ძირითადად დადებით დამოკიდებულებასა და ქცევას ასახავდა, მე-10-

12 ცხრილში მოყვანილი შედეგები ადასტურებს, რომ კურსის შესწავლის შედეგად დადებითი ცვლილებები განხორციელდა სტუდენტების დამოკიდებულებასა და ქცევაში. კურსის გავლენა აქაც სქესის მიხედვით შეფასდა, რეგიონული ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. მიღებული შედეგების თანახმად, დადებითი ცვლილებები უფრო თვალსაჩინო იყო მდებარეობითი სქესის სტუდენტების შემთხვევაში. ეს შეესაბამება სტუდენტთა ცოდნის შეფასების შედეგებს, რომელიც კურსის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ განხორციელდა და სადაც მამრობითი სქესის სტუდენტებზე უკეთესი შედეგები მდებარეობითი სქესის სტუდენტებს ჰქონდათ.

ყველაზე თვალსაჩინო ცვლილება უკავშირდება სტუდენტების შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი უნდა ითამაშონ მოქალაქეებმა საზოგადოებაში. კერძოდ, ყველაზე მეტად დადებითი ცვლილება დაფიქსირდა შემდეგი წინადადებების მიმართ დამოკიდებულებაში: „მნიშვნელოვანია, რომ ქართული საზოგადოების წევრები გაერთიანდნენ ორგანიზაციებში საერთო ინტერესების დასაცავად“ და „ქართული საზოგადოების წევრებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ პოლიტიკურ საკითხებს გაზეთების, რადიოს, ტელევიზიისა თუ ინტერნეტის საშუალებით“. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ მამრობითი სქესის სტუდენტები რეგიონებში მდებარე უნივერსიტეტებიდან. პოზიტიურ ცვლილებებს სტუდენტთა მიერ მოქალაქეთა როლის აღქმაში აგრეთვე ადასტურებს ყველა დანარჩენი წყაროდან მიღებული ინფორმაცია. ყველაზე ნაკლები ცვლილებები აღინიშნა ხმის მიცემის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სტუდენტები ამ უკანასკნელს მანამდეც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც ეს კურსის დაწყების წინ ჩატარებულმა ტესტირებამ აჩვენა. წინადადებას „არჩევნებში ხმის მიცემა ქართულ დემოკრატიაში მონაწილეობის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს“ თბილისში მდებარე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მხოლოდ 6%, ხოლო რეგიონებში მდებარე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მხოლოდ 8% არ ეთანხმებოდა ან სრულად არ ეთანხმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ მოსაზრებას სტუდენტები სასწავლო კურსამდეც მტკიცედ ემხრობოდნენ, მნიშვნელოვანია, რომ კურსის დასრულების შემდეგ მათ დამოკიდებულებაში თვალსაჩინო ცვლილებები მაინც აღინიშნა.

მართალია, ზემოაღნიშნული შედეგები სტუდენტების პოზიტიურ დამოკიდებულებასა და ქცევაზე მიუთითებს, ეს მხოლოდ ინფორმაციის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს და, შესაძლოა, ზედმიწევნით სწორად არ ასახავდეს რეალურ სურათს, ვინაიდან თავად სტუდენტების მიერ გამოთქმულ შეფასებებს ეყრდნობა. მიუხედავად ამისა, სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით აშკარა ხდება, რომ სასწავლო კურსმა არაერთ სტუდენტზე მოახდინა დადებითი გავლენა, რასაც ადასტურებს მათი ქცევა და კომენტარები ლექციებზე, სამოქმედო პროექტების პრეზენტაციების დროს და ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებზე.



## დასკვნები და რეკომენდაციები

სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებულმა მასშტაბურმა ინფორმაციამ საშუალება მოგვცა, სიღრმისეულად გამოგვეკვლია, თუ რა გავლენა იქონია სტუდენტებზე სასწავლო კურსმა დემოკრატიულ საზოგადოებაში ეფექტურ სამოქალაქო ჩართულობასთან დაკავშირებული ცოდნის, უნარჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებაზე. ქვემოთ მოცემულია კვლევის ძირითადი ასპექტები და დასკვნები, რომელზე დაყრდნობითაც აშკარაა, რომ კურსის მიზნები განხორციელდა ყველა კატეგორიის სტუდენტების შემთხვევაში სქესის, ფაკულტეტის, სწავლების წლისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად. პროგრამა სტუდენტების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმისდა მიუხედავად, თუ დროის რომელ მონაკვეთში გაიარეს მათ „დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ სასწავლო კურსი - 2012 წლის შემოდგომაზე თუ მანამდე.

მიღებული მონაცემების თანახმად, იმ სტუდენტებმა, რომელთაც გაიარეს „დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ სასწავლო კურსი:

- გაიღრმავეს ცოდნა დემოკრატიის შესახებ, ასევე ხელისუფლებისა და მოქალაქეების როლის შესახებ
- შეიძინეს ცოდნა დემოკრატიის მოქალაქეთა როლის შესახებ და გახდნენ საზოგადოების უფრო აქტიური წევრები
- მიიღეს ეფექტური სამოქალაქო ჩართულობისათვის საჭირო შემდეგი უნარჩვევები: საჯარო გამოსვლა, ინფორმაციის დამაჯერებლად წარდგენა, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა, პრობლემის გადაჭრა, საკუთარი პოზიციის შესაბამისი მონაცემებით გამყარება, ინფორმაციის ორგანიზება, სხვების მოსმენა და კითხვების ინფორმაციის საფუძველზე ფორმულირება
- ირწმუნეს თავიანთი შესაძლებლობა, მოახდინონ ცვლილება ქართულ საზოგადოებაში და დემოკრატიის განვითარებაში შეიტანონ წვლილი
- შეიცვალეს დამოკიდებულება სხვების მიმართ; გახდნენ უფრო ემპათიურები; გაუჩნდათ სხვების უფლებებისა და თანასწორობის პრინციპების დაცვის პასუხისმგებლობის გრძნობა
- გააცნობიერეს მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა ჯანსაღი დემოკრატიული პროცესების შესანარჩუნებლად
- გაუჩნდათ მოტივაცია, მოახდინონ ცვლილებები და გადადგან კონკრეტული ნაბიჯები სხვების ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ამასთან, გაუმჯობესებას საჭიროებს სასწავლო კურსის ზოგიერთი ასპექტი. ქვემოთ წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები:

- ვინაიდან კურსზე დასწრების მსურველი მდედრობითი სქესის სტუდენტების რაოდენობა მამრობითი სქესისას ორჯერ აჭარბებს,

მნიშვნელოვანია, განხორციელდეს ღონისძიებები მამრობითი სქესის მსმენელთა რაოდენობის გასაზრდელად;

- სტუდენტთა სამოქმედო პროექტებზე მუშაობა უნდა განხორციელდეს მასწავლებლის სახელმძღვანელოში მოცემული რეკომენდაციების მიხედვით, რათა კურსის ამ კომპონენტისაგან ყველა სტუდენტმა მაქსიმალური სარგებელი მიიღოს. მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სტუდენტების მიერ მიღებული გამოცდილება იმ შემთხვევებში, სადაც სტუდენტთა პროექტის სამოქმედო პროგრამები განხილული და განხორციელებული იქნა კვლევითი პროექტების სახით, რაც არ ითვალისწინებდა სტუდენტების მიერ პრობლემის გადაჭრასა და კონკრეტული ქმედებების გატარებას. კერძოდ, ეს სტუდენტები ადგილობრივ დონეზე ცვლილებების მოსახდენად უფრო ნაკლებად იყვნენ მოტივირებულნი.
- საჭიროა, შეიქმნას სტუდენტის სახელმძღვანელო, რომელიც სტუდენტებს სამოქმედო პროექტების განხორციელების პროცესში გაუწევს დახმარებას.

საჭიროა, მეტი ყურადღება დაეთმოს იმ უნარჩვევების განვითარებას, რომლის ნაკლებობაც აღინიშნა სტუდენტთა პროექტების პრეზენტაციის დროს, მაგალითად, პროფესორთა საზაფხულო ტრენინგის ფარგლებში. ამ მიზნით ასევე შესაძლებელია კონკრეტული სავარჯიშოების შეტანა ზემოაღნიშნულ სტუდენტის სახელმძღვანელოში.